

**ადგილობრივი არჩევნებზე სადამკვირებლო ორგანიზაციების დეკლარაცია
არჩევნების თემატიკის შესახებ მიძღვნილი სემინარი
ვენა, ავსტრია (21-22 ივლისი, 2008)**

ჩვენ, საერთო შეხედულებების მქონე ადგილობრივი სადამკვირებლო ორგანიზაციების ჯგუფს, მიგვაჩნია რომ გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულობა და სანდოობა წარმოადგენს დემოკრატიული არჩევნების ძირითად ქვაკუთხედს. ისინი განაპირობებს როგორც საზოგადოების ასევე საარჩევნო სუბიექტების რწმენას არჩევნების მიმართ. ჩვენი საქმიანობა რომელიც საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებას და ხელშეწყობას მოიცავს, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დემოკრატიის განვითარებას და ძირითადი ადამიანის უფლებების დაცვას.

ჩვენი ქვეყნების მთავრობებმა პასუხისმგებლობა აიღეს რომ ჩვენ გვაქვს გაერთიანების უფლება. ეს მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბების, მათში განწევრიანების, და მონაწილეობის უფლებას რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანების უფლებების დაცვას, მათ შორის ასეთივე სახის ჯგუფებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით. ქვეყნების მთავრობებმა აგრეთვე პასუხისმგებლობა აიღეს რომ არჩევნებზე დაკვირვების მიზნით მოიწვევენ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს, რომელთაც ერთნაირი უფლებები ექნებათ. ამ კუთხით, ჩვენი უფლებაა მივიღოთ მოხალისეობრივი ფინანსური დახმარება როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო წყაროებისგან. ჩვენი მხრივ, ჩვენ პირობას ვდებთ რომ ამ თანხის გამოყენება მოხდება ღიად და გამჭვირვალედ. ისევე როგორც საერთაშორისო დამკვირვებლებს, ჩვენც ასევე გვაქვს უფლება და შესაძლებლობა დავაკვირდეთ ჩვენ ქვეყნებში გამართულ არჩევნებს.

ჩვენ პირობას ვდებთ რომ მიუკერძოებლად და ობიექტურად დავაკვირდებით საარჩევნო პროცესებს და გამჭვირვალედ მივანვიდით ჩვენი დაკვირვების შედეგებს. როცა არჩევნების დროს დარღვევებს და ნაკლოვანებებს აღმოვაჩინეთ, ჩვენ მათ კეთილი განზრახვით ვხდით საჯაროს რათა გაძლიერდეს საარჩევნო პროცესები ჩვენ ქვეყნებში და ნაკლოვანებების აღმოფხვრაში მივიღოთ მონაწილეობა. თუმცა ზოგიერთი ქვეყანას არ სურს არასასიამოვნო სიმართლის მოსმენა, უარყოფს აღმოჩენილ ნაკლოვანებებს და არ ასრულებს ეუთო-ს მიერ განსაზღვრულ ვალდებულებებს.

სამწუხაროა რომ კოპენჰაგენის დოკუმენტის მიღებიდან თითქმის ოცი წლის შემდგომ, ჩვენი საქმიანობის განხორციელების დროს ზოგიერთ ქვეყანაში კვლავ გვექმნება პრობლემები, როგორცაა ჩვენი აქტივისტების მიმართ სისტემური ხასიათის მქონე ზენოლა და დაშინება, არჩევნებამდე საკმარისი პერიოდის განმავლობაში არჩევნებზე დაკვირვების მიზნით სათანადო აკრედიტაციის მიღება, ან თვით როგორც ბოლო ხანებში, რეგისტრაციიდან მოხსნა. ზოგიერთი ჩვენთაგან არ ეძლევა შესაძლებლობა დააკვირდეს საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპს და ადგილობრივი კანონდებლობა არ უზრუნველყოფს ჩვენი უფლებების სრულიად დაცვას. ჩვენი ქვეყნების მთავრობების მოვალეობაა რომ დაგვიცვას.

ჩვენ მოვუწოდებთ ეუთო-ს წევრ ყველა სახელმწიფოს, რომ დაიცვას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო კანონმდებლობით განსაზღვრულ მათ მიერ აღებულ ვალდებულებებს. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნების მთავრობებს, რომ სრულად შეასრულონ ეუთო-ს ვალდებულებები დემოკრატიული არჩევნების ჩატარების კუთხით, კერძოდ კი საარჩევნო პროცესების ყველა ეტაპის დაკვირვების კუთხით.

ხელმოწერები,

ეს შენი არჩევანია, სომხეთი
არჩევნებზე სადამკვირებლო ცენტრი, Aზერბაიჯანი
ასოციაცია ჰრო დემოკრატია, რუმინეთი
დამოუკიდებელი დამკვირვებლების რესპუბლიკური ქსელი, ყაზახეთი
კოალიცია დემოკრატიისთვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ყირგიზეთი
დემოკრატიული გარდაქმნის ცენტრი, მმონტენეგრო
სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის ცენტრი, სერბეთი
უკრაინის ამომრჩევლების კომიტეტი, უკრაინა
ბელორუსიის ჰელსინკის კომიტეტი, ბელორუსია
სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველო
მემო 98, სლოვაკეთი
გოლოსის კოალიცია, რუსეთი
მოსტ-ის მოქალაქეთა ასოციაცია, მაკედონია
გონგ-ი, ხორვატია